

ქ.თბილისი

2016 წლის 24 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 24 ნოემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. სუთიაშვილის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის ს. აბულაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 20 ნოემბერს, I ლიგის კალენდარულ ტურში, თბ „ივერია“-სა და თბ „ხულიგანა“-ს მატჩის დროს მომხდარი ფაქტები.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. კლუბ თბ „ხულიგანა“-ს მორაგბე ლევან სირაძე - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
2. კლუბ თბ „ივერია“-ს მწვრთნელი მიხეილ ჩაჩუა - მსაჯის გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2 და 2.2.8 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ თბ „ხულიგანა“-ს მორაგბე ლ. სირაძე დისკვალიფიცირებული იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
2. კლუბ თბ „ივერია“-ს მწვრთნელი მ. ჩაჩუა დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300 (სამასი) ლარით.
3. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მის კლუბს დაეკისრება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
4. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 24 დეკემბრამდე.
5. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ თბ „ივერია“-ს და კლუბ თბ. ხულიგანა“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/